საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11679/01
10/11/2021

11679-01-2-202111101715

შპს „ტოპ მოტორსს“
მის: თბილისი, როსტევანის ქ. №31

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 3 ნოემბერს წარმოდგენილი N19663 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვეშეთის მიმდებარედ შპს „ტოპ მოტორსის“ ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

როგორც სამინისტროს მიმდინარე წლის 3 ნოემბერის N11433/01 წერილით დამატებით გეცნობათ, სოფ. ქვეშეთის მოსახლეობა საწარმოს აშენების და სამუშაოების ჩატარების წინააღმდეგია, ამასთან, ითხოვს შპს „ტოპ მოტორსის“ წარმომადგენლებთან შეხვედრას და მოლაპარაკებას პირობების განსახილველად. აღნიშნული საკითხი არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში.

გარდა ამისა, სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდ. თეთრი არაგვის კალაპოტში, მის მარჯვენა ჭალისპირა ტერასაზე. როგორც სამინისტროს 2021 წლის 28 ოქტომბრის N11193/01 წერილით გეცნობათ, „წყალდაცვითი ზოლის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მდ. თეთრი არაგვის წყალდაცვითი ზოლის სიგანე შეადგენს 30 მეტრს კალაპოტის კიდიდან. წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდინარის აქტიური კალაპოტიდან დაშორებულია 35 მ და მეტი მანძილით. დაზუსტებას საჭიროებს სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის განთავსების GPS კოორდინატები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე